საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

18.06.2024
N 980

980-09-02-11-3-202406181105

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ, უმაღლეს საბჭოში ინიციირებულია საკანონმდებლო პაკეტი, რომელშიც შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“ (№09-01-08/55, 26.10.2023).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ 2023 წლის 21 დეკემბერს უმაღლესი საბჭოს მიღებულია პირველი მოსმენით, ხოლო ამავე საკანონმდებლო პაკეტში შემავალი საქართველოს კანონის პროექტი - „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ უმაღლესი საბჭოს მიერ ინიციირებულია საქართველოს პარლამენტში.

გამომდინარე იქედან, რომ ზემოაღნიშნული საქართველოს კანონის პროექტზე მიმდინარეობს კონსულტაციები, ამ ეტაპზე მიზანშეწონილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ წამყვან კომიტეტში მეორე მოსმენით განხილვის ვადის გაგრძელება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 96-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის - „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“ წამყვან კომიტეტში მეორე მოსმენით განხილვის ვადა გააგრძელოთ 90 დღით.

პატივისცემით,
ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე